# უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

საბაკლავრო პროგრამა „სოციოლოგია“

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[26.04.2023]

## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

სახელი - **თამარ**

გვარი - **ჩარკვიანი**

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების სახე | **უნივერსიტეტი** |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **205224700** |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | **სოციოლოგია** |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | **ბაკალავრიატი** |
| 3 | კვალიფიკაციის დონე[2] | **მეექვსე დონე** |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | **სოციოლოგიის ბაკალავრი** |
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3] | |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4] | **0314 - სოციოლოგია** |
| 7 | სწავლების ენა | **ქართული** |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | **240** |
| 9 | განხორციელების ადგილი[5] | **ა. პოლიტკოვსკაიას N 61, თბილისი, 0186, საქართველო. პირველი სასწავლო კორპუსი** |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | **კრედიტირებული, 2022 წლის 15 თებერვლის # 152081 გადაწყველილება** |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | **08.02.2022** |
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | **08.02.2023** |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | **08.02.2029** |

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | √ | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | √ | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | √ | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | √ | | | |

## შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. 4.1 რეკომედნებულია თანამდეროვე და პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების კურსების ფარგლებში გადაიხედოს კვირების მიხედვით განსახილველი საკითხები, ერთი და იგივე ავტორებისთვის რამდენიმე კვირის დათმობის შემთხვევაში კი, განისაზღვროს შესაბამისი ლიტერატურა და/ან დაემატოს სხვა ავტორები (მაგ: მანუელ კასტელსი, ენტონი გიდენსი);

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

2. 4.2 რეკომენდებულია კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსების სილაბუსების გამართვა. კერძოდ, განსახილველი საკითხებისა და შესასრულებელი დავალებების იმგვარად განსაზღვრა, რომ ისინი ფოკუსირებული იყოს არა თეორიული მასალის გაცნობაზე, არამედ კვლევის დაგეგმვა - განხორციელებაზე;

3. 4.3 რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის კურსის შინაარსის გამართვა იმგვარად, რომ მისი მიზანი და შედეგები გულისხმობდეს ბაკალავრებისთვის კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას კვლევით პროექტზე მუშაობის გზით;

4. 4.4 რეკომენდებულია პროგრამაში ეკონომიკური საკითხების სწავლების უზრუნველყოფა;

5. 4.5 რეკომენდებულია სასწავლო კურსებისთვის წინაპირობების შესაბამისად განსაზღვრა (მაგ., „სტატისტიკა“, „ეკონომიკური სოციოლოგია“, „კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით)“;

6. 4.6 რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი;

7. 4.7 რეკომენდებულია, დამსაქმებელთა/პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა;

8. 4.8 სასწავლო კურსებში, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ავითარებს წერილობითი კომუნიკაციის უნარებს, თემისა თუ ანგარიშის პრეზენტაციასთან ერთად რეკომენდებულია ფასდებოდეს ნაშრომის წერილობითი მხარე კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი: 27.02.2023.

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი: 08.02.2023.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიზნით 2022 წლის 5 აპრილს /ოქმი N1/ შეიკრიბა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ხათუნა ამაღლობელი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი);

2. კახი კოპალიანი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

3. ნინო ქეცბაია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

4. თეიმურაზ ფაჩულია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

5. კობა ნონიაშვილი - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

6. ნესტან ლომაია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

7. მანანა გაგოშიძე - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი.

8. შორენა კორტავა - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი.

9. მერი ჭანტურია - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის მიმართულების ასისტენტ პროფესორი.

10. რუსუდან ქარდავა - დიპიაი კონსალტინგის დამფუძნებელი

ჯგუფის მიერ განსაზღვრულ იქნა რეკომენდაციების შესასრულებლად განსახორციელებელი ღონისძიებები. კერძოდ, ფუნქციები გადანაწილდა შემდეგი სახით:

**ხათუნა ამაღლობელი, კახი კოპალიანი, კობა ნონიაშვილი, რუსუდან ქარდავა** - პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან კოორდინაციაში სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული

კურსების სილაბუსების გამართვა კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაზე ფოკუსირებით (რეკომენდაცია 4.2), პროფესიული პრაქტიკის კურსის კვლევით პროექტზე აქცენტირება ბაკალავრებისთვის კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიზნით (რეკომენდაცია 4. 3) და პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში სტუდენტთა რაოდენობისა და პრაქტიკის ხანგრძლივობის ასახვა (რეკომენდაცია 4.7).

**ხათუნა ამაღლობელი, კახი კოპალიანი, კობა ნონიაშვილი, ნესტან ლომაია, შორენა კორტავა, მანანა გაგოშიძე, მერი ჭანტურია** - პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების სემინარებსა და სხვა აკადემიურ აქტივობებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება (რეკომენდაცია 4.6); თანამდეროვე და პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების კურსების ფარგლებში განსახილველი საკითხების გადახედვა შესაბამისი ლიტერატურის დამატებით (რეკომენდაცია 4.1), სასწავლო კურსებისთვის: „სტატისტიკა“, „ეკონომიკური სოციოლოგია“, „კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით)“, წინაპირობების შესაბამისად განსაზღვრა (რეკომენდაცია 4.5) და ასევე, პროგრამაში ეკონომიკური საკითხების სწავლების უზრუნველყოფა (რეკომენდაცია 4. 4).

**ხათუნა ამაღლობელი, კახი კოპალიანი, კობა ნონიაშვილი, თემურ ფაჩულია, ნესტან ლომაია, შორენა კორტავა, მანანა გაგოშიძე, მერი ჭანტურია** - ყველა ის სასწავლო დისციპლინა, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ანვითარებს წერილობითი კომუნიკაციის უნარებს, შესაბამისად შეფასდა (რეკომენდაცია 4. 8).

ჯგუფის მუშაობის პროცესში შედგა 3 შეხვედრა, მოსმენილ იქნა პროგრამის ხელმძღვანელის ანგარიში და განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები პროგრამასა და სილაბუსებში, რაც წარდგენილ იქნა განსახილველად და მიღებულ იქნა ცნობად ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე (2023 წლის 3 თბერვალი).

## რჩევ(ებ)ი[8]

1. სასურველია, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ჩაბარება;

2. პროგრამა გაყოფილია სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებად. შესაძლებლად მიგვაჩნია პროგრამის გაყოფა სამ ნაწილად: სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით და არჩევით კურსებად. ჩვენი აზრით, ეს პროგრამას

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

შესაძლებლობას მეტ მოქნილობას შესძენდა. ასე მაგალითად, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში, ჩვენი აზრით, შესაძლებელია დარჩეს:

- სოციოლოგიის შესავალი;
- აკადემიური წერა;
- საინფორმაციო ტექნოლოგიები სოციოლოგიაში;
- კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში;
- ზოგადი სოციოლოგია; პროტოსოციოლოგია;
- კლასიკური სოციოლოგიური თეორიები;
- თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები;
- სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები;
- სტატისტიკა;
- სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები;
- სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი;
- პროფესიული პრაქტიკა;
- პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები;
- კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით);
- საბაკალავრო ნაშრომი (ასევე შესაძლებელია შევიდეს სავალდებულო-არჩევითი კურსების ჩამონათვალში).

ხოლო სხვა დისციპლინები გადავიდეს სავალდებულო-არჩევითი (აქ შეიძლება შევიდეს დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინები) ან არჩევითი კურსების (ყველა სხვა დანარჩენი) ჩამონათვალში.

3. სასურველია სასწავლო კურსების ნაწილის განახლება უახლესი ლიტერატურითა და კვლევებით;

4. სასურველია კურსში „ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგია“ შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სახელწოდებასთან;

5. სასურველია, ანალოგი პროგრამების დადარებისა და გამოცდილების გაზიარების პროცესი იყოს მეტად ფორმალიზებული და მოიცავდეს ინფორმაციას ბენჩმარკის ინდიკატორების და ანალოგიურ პროგრამებთან შესაბამისობის სიღრმისეულ ანალიზს.

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამისათვის გაცემული რვა რეკომენდაცია. უმაღლესი დაწესებულების მიერ რვავე რეკომენდაცია სრულად შესრულებულია. უნივერსიტეტის მხრიდან რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით მოწოდებულია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ საბაკალავრო პროგრამისათვის გაცემულია ხუთი რჩევა. აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რჩევების გათვალისწინება არ ატარებს სავალდებულო ხასიათს. უმაღლესი სასწავლებლის მხრიდან რჩევების უმრავლესობა არ არის გათვალისწინებული. რეკომენდაციების შესრულებიდან გამომიდინარე რჩევების გარკვეული ნაწილი შესრულდა. კერძოდ, მე-3 რჩევა ნაწილობრივ გათვალისწინებულია -„სასურველია სასწავლო კურსების ნაწილის განახლება უახლესი ლიტერატურითა და კვლევებით“, ლიტერატურა განახლებულია „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“, „პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები“ სილაბუსებში. მე-4 რჩევა გათვალისწინებულია კურსი „ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგია“ შინაარსი მოვიდა შესაბამისობაში კურსის სახელწოდებასთან;

## დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

## რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[12] | სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება[13] | ქვესტანდარტი 2.3. სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია I[14] | 4.1 რეკომედნებულია თანამედროვე და პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიების კურსების ფარგლებში გადაიხედოს კვირების მიხედვით განსახილველი საკითხები, ერთი და იგივე ავტორებისთვის რამდენიმე კვირის დათმობის შემთხვევაში კი, განისაზღვროს შესაბამისი ლიტერატურა და/ან დაემატოს სხვა ავტორები (მაგ: მანუელ კასტელსი, ენტონი გიდენსი); |
| შეფასება | 4.1 რეკომენდაციის შესრულებულია და შესაბამისად განხორციელდა ცვლილებები კურსის სილაბუსებში „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“, „პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები“. სილაბუსებში გაწერილია კვირების მიხედვით განსახილველი საკითხები და განახლებულია ავტორები.<br><br>„თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“-ს სილაბუსში განხილულია ავტორები:ენტონი გიდენსი, ნიკლას ლუმანი, მანუელ კასტელსი, ალენ ტურენი, ჯეფრი ალექსანდერი, დანიელ ბელი. „პოსტმოდერნისტულ სოციოლოგიურ თეორიებ-ს“, მოდიფიცირდა ისეთი ავტორების დამატებით როგორებიც არიან: ფელიქს გუატარი, ჟაკ დერიდა, მილორად პავიჩი, ფრედერიკ ჯეიმსონი, ჯონ კინი, სლავოი ჟიჟეკი, ალენ კეიე;<br><br>ორივე სასწავლო დისციპლინაში განისაზღვრა შესაბამისი ლიტერატურა. სილაბუსის ყოველი კვირა ეთმობა ახალი ავტორის შესწავლა/განხილვას. ლიტერატურა სრულად ქართულ ენაზეა. სასწავლო მასალები მოიცავს თანამედროვე გამოცემებს და აღიარებულ, აპრობირებულ სახელმძღვანელოებს. |

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| რჩევა15 I | ქვესტანდარტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები<br>სასურველია, სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ჩაბარება. |
| შეფასება | რჩევა არ არის გათვალისწინებული. |
| მტკიცებულებ(ები)ა | შესაბამისი კურსების სილაბუსები - დანართი 2. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | ქვესტანდარტი 2.3. სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია II16 | 4.2 რეკომენდებულია კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსების სილაბუსების გამართვა. კერძოდ, განსახილველი საკითხებისა და შესასრულებელი დავალებების იმგვარად განსაზღვრა, რომ ისინი ფოკუსირებული იყოს არა თეორიული მასალის გაცნობაზე, არამედ კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაზე; |
| შეფასება | 4.2 რეკომენდაცია შესრულებულია - სილაბუსები განახლდა ყველა იმ სასწავლო დისციპლინაში, რომლებშიც რეკომენდებული იყო კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული კურსების გამართვა. კერძოდ, განსახილველი საკითხების და შესასრულებელი დავალებები იმგვარად განისაზღვრა, რომ ისინი ფოკუსირებული არიან არა თეორიული მასალის გაცნობაზე, არამედ კვლევის დაგეგმვა-განხორციელებაზე; განახლდა კურსების სილაბუსები: კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS - ის გამოყენებით), კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, სოციოლოგიური კვლევების პრაქტიკუმი, სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები; პროფესიული პრაქტიკა. |
| რჩევა[17] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | შესაბამისი კურსების სილაბუსები - დანართი 2. |

[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[17] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | ქვესტანდარტი 2.3. სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია II[18] | 4.3 რეკომენდებულია პროფესიული პრაქტიკის კურსის შინაარსის გამართვა იმგვარად, რომ მისი მიზანი და შედეგები გულისხმობდეს ბაკალავრებისთვის კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას კვლევით პროექტზე მუშაობის გზით; |
| შეფასება | 4.3 რეკომენდაცია შესრულებულია - გაიმართა პროფესიული პრაქტიკის კურსის შინაარსი. კერძოდ, როგორც შუალედურ შეფასებაში, ისე დასკვნით გამოცდაზე აქცენტირება ხდება კვლევით პროექტზე (როგორიცაა სამაგიდე კვლევის მომზადება, სტატისტიკურ მონაცემთა მოძიება და დამუშავება; კვლევითი პროექტის პრეზენტაცია).<br>პროფესიული პრაქტიკის კურსის შინაარსის მიზანი და შედეგები გულისხმობს ბაკალავრებისთვის კვლევის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას კვლევით პროექტზე მუშაობის გზით. სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი:<br>▪ სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდებით კითხვარების მომზადება, შერჩევის დიზაინის შემუშავება, საველე სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება, ველის მონიტორინგი, მონაცემთა თავმოყრა და დამუშავება;<br>▪ სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდებით: გზამკვლევის მომზადება, რესპონდენტთა შერჩევა, ჩაღრმავებული ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფების დაგეგმვა და ჩატარება, ტრანსკრიპტების მომზადება, მონაცემების დამუშავება;<br>▪ კვლევის შედეგების საფუძველზე დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება; თვისებრივ და რაოდენობრივ მონაცემთა დამუშავების, დიაგრამების შედგენის და სხვადასხვა სახის ანგარიშების მომზადება და ა.შ. |

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| რჩევა[19] II | 3. სასურველია სასწავლო კურსების ნაწილის განახლება უახლესი ლიტერატურითა და კვლევებით; |
| შეფასება | რჩევა ნაწილობრივ გათვალისწინებულია. ლიტერატურა განახლებულია სილაბუსებში „თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები“, „პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები“. |
| მტკიცებულებ(ები)ა | შესაბამისი კურსების სილაბუსები - დანართი 2. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | ქვესტანდარტი 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| რეკომენდაცია II[20] | 4.4 რეკომენდებულია პროგრამაში ეკონომიკური საკითხების სწავლების უზრუნველყოფა; |
| შეფასება | 4.4 რეკომენდაცია შესრულებულია და შეტანილია სასწავლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები. საბაკალავრო პროგრამაში ეკონომიკური საკითხების სწავლებას უზრუნველყოფს სასწავლო დისციპლინა „ეკონომიკური სოციოლოგია“, რომელმაც არჩევითი ბლოკიდან სავალდებულო დისციპლინათა ბლოკში გადმოინაცვლა, კერძოდ V სემესტრში (3 კრედიტი). |
| რჩევა[21] II | 2. პროგრამა გაყოფილია სპეციალობის სავალდებულო და არჩევით კურსებად. შესაძლებლად მიგვაჩნია პროგრამის გაყოფა სამ ნაწილად: სავალდებულო, სავალდებულო-არჩევით და არჩევით კურსებად. ჩვენი აზრით, ეს პროგრამას შესაძლებლობას მეტ მოქნილობას შესძენდა. ასე მაგალითად, სავალდებულო კურსების ჩამონათვალში, ჩვენი აზრით, შესაძლებელია დარჩეს:<br><br>• სოციოლოგიის შესავალი;<br>• აკადემიური წერა;<br>• საინფორმაციო ტექნოლოგიები სოციოლოგიაში;<br>• კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში; |

[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[21] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | • ზოგადი სოციოლოგია; პროტოსოციოლოგია;<br>• კლასიკური სოციოლოგიური თეორიები;<br>• თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები;<br>• სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები;<br>• სტატისტიკა;<br>• სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები;<br>• სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი;<br>• პროფესიული პრაქტიკა;<br>• პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები;<br>• კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით);<br>• საბაკალავრო ნაშრომი (ასევე შესაძლებელია შევიდეს სავალდებულო-არჩევითი კურსების ჩამონათვალში).<br><br>ხოლო სხვა დისციპლინები გადავიდეს სავალდებულო-არჩევითი (აქ შეიძლება შევიდეს დარგობრივი სოციოლოგიური დისციპლინები) ან არჩევითი კურსების (ყველა სხვა დანარჩენი) ჩამონათვალში.<br>4. სასურველია კურსში „ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგია“ შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სახელწოდებასთან; |
| შეფასება | მე-2 რჩევა არ არის გათვალისწინებული.<br>მე-4 რჩევა გათვალისწინებულია ნაწილობრივ - კურსში „ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგია“ შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში კურსის სახელწოდებასთან; |
| მტკიცებულებ(ები)ა | o ეკონომიკური სოციოლოგიის სილაბუსი - დანართი2.<br>o საგანმანათლებლო პროგრამა - დანართი 1.<br>o ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგია სილაბუსი - დანართი 2. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | ქვესტანდარტი 2.3. სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია II[22] | 4.5 რეკომენდებულია სასწავლო კურსებისთვის წინაპირობების შესაბამისად განსაზღვრა (მაგ., „სტატისტიკა“, „ეკონომიკური სოციოლოგია“, „კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით)“; |

[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| შეფასება | 4.5 რეკომენდაცია შესრულებულია და შეტანილია სასწავლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები. სასწავლო კურსებისთვის: „სტატისტიკა“, „ეკონომიკური სოციოლოგია“, „კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით)“ დაზუსტდა შესაბამისი წინაპირობები; კერძოდ: კურსებისთვის „სტატისტიკა“ წინაპირობად განისაზღვრა - „საინფორმაციო ტექნოლოგიები სოციოლოგიაში“, „ეკონომიკური სოციოლოგიის“ წინაპირობად განისაზღვრა - „სოციოლოგიის შესავალი“; ხოლო „კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS-ის გამოყენებით)“ - „სტატისტიკა“. |
| რჩევა[23] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | o სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა - დანართი 1.<br>o შესაბამისი კურსების სილაბუსები - დანართი 2. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | ქვესტანდარტი 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
| რეკომენდაცია II[24] | 4.6 რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი; |
| შეფასება | 4.6 რეკომენდაცია შესრულებულია და შეტანილია სასწავლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები. სასწავლო კურსებისთვის: სავალდებულო სასწავლო კურსებში: „გენდერის სოციოლოგია“, „კულტურის სოციოლოგია“, „ოჯახის სოციოლოგია“, „პოლიტიკის სოციოლოგია“, „რელიგიის სოციოლოგია“ გაძლიერდა პრაქტიკული კომპონენტი, რაც ასახულია შესაბამის სილაბუსებში.<br><br>კვლევითი პროექტის კომპონენტი დამატებულია კურსებში ფორმულირებით: |

[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | ▪ გენდერის სოციოლოგია (მცირე ზომის კვლევითი პროექტის პრეზენტაცია (გუნდურად)<br>▪ კულტურის სოციოლოგია (მცირე ზომის კვლევითი პროექტის პრეზენტაცია და წერილობითი წარდგენა)<br>▪ პოლიტიკის სოციოლოგია (მცირე ზომის კვლევითი პროექტის პრეზენტაცია (გუნდურად) და ა.შ. |
| რჩევა[25] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | o შესაბამისი კურსების სილაბუსები - დანართი 2. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | ქვესტანდარტი 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
| რეკომენდაცია II[26] | 4.7 რეკომენდებულია, დამსაქმებელთან/პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახოს სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა; |

[25] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| შეფასება | 4.7 რეკომენდაცია შესრულებულია და შეტანილია სასწავლო პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები. პოტენციურ დამსაქმებლებთან გაფორმებულ მემორანდუმებში აისახა სტუდენტთა რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკის სრულყოფილად გავლას. მემორანდუმი გაფორმდა სამ ორგანიზაციასთან:<br><br>▪ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს დი პი ეი კონსალტინგს შორის 03/06/2021 წელს გაფორმებული მემორანდუმის IV მუხლის საფუძველზე, 2023 წლის 6 თებერვალს შეტანილია ცვლილება და დაემატა II მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „გ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, სემესტრულად მოემსახურება 3 (სამ) სტუდენტს“.<br>▪ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს PMO Business Consultingს-ს შორის 07/07/2021 წელს გაფორმებული მემორანდუმის IV მუხლის საფუძველზე, 2023 წლის 6 თებერვალს შეტანილია ცვლილება და დაემატა II მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „გ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, სემესტრულად მოემსახურება 5 (ხუთი) სტუდენტს“.<br>▪ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ „ახალგაზრდა მკვლევართა და ანალიტიკოსთა გაერთიანებას“-ს შორის 28/01/2022 წელს გაფორმებული მემორანდუმის IV მუხლის საფუძველზე, 2023 წლის 6 თებერვალს შეტანილია ცვლილება და დაემატა II მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „გ) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, სემესტრულად მოემსახურება 18 (თვრამეტი) სტუდენტს“. |
| რჩევა[27] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | ხელშეკრულება პრაქტიკის ობიექტთან - დანართი 3. |

[27] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა |
| კომპონენტის დასახელება | ქვესტანდარტი 2.3. სასწავლო კურსი |
| რეკომენდაცია II[28] | 4.8 სასწავლო კურსებში, რომლებიც პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ავითარებს წერილობითი კომუნიკაციის უნარებს, თემისა თუ ანგარიშის პრეზენტაციასთან ერთად რეკომენდებულია ფასდებოდეს ნაშრომის წერილობითი მხარე კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით; |
| შეფასება | 4.8 რეკომენდაცია შესრულებულია - ყველა იმ სასწავლო დისციპლინაში, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგების რუკის მიხედვით ავითარებს წერილობითი კომუნიკაციის უნარებს, დაემატა და დეტალურად გაიწერა წერითი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით; შემდეგ სილაბუსებში განხორციელდა ცვლილება: *გენდერის სოციოლოგია, დემოგრაფიის საფუძვლები, ეკონომიკური სოციოლოგია, ზოგადი სოციოლოგია, თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები, კვლევის მონაცემთა ანალიზი (SPSS - ის გამოყენებით), კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, კულტურის სოციოლოგია, პოლიტიკის სოციოლოგია, პოსტმოდერნისტული სოციოლოგიური თეორიები, სოციოლოგიის შესავალი, სოციოლოგიური კვლევების პრაქტიკუმი, სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები, სოციოლოგიური კვლევის რაოდენობრივი მეთოდები, ფილოსოფიური და სოციალური ანთროპოლოგია.* |
| რჩევა[29] II | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | შესაბამისი კურსების სილაბუსები - დანართი 2. |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები |

[28] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[29] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| კომპონენტის დასახელება | ქვესტანდარტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
| რეკომენდაცია II[30] | |
| შეფასება | |
| რჩევა[31] II | 5. სასურველია, ანალოგი პროგრამების დადარებისა და გამოცდილების გაზიარების პროცესი იყოს მეტად ფორმალიზებული და მოიცავდეს ინფორმაციას ბენჩმარკის ინდიკატორების და ანალოგიურ პროგრამებთან შესაბამისობის სიღრმისეულ ანალიზს. |
| შეფასება | რჩევა არ არის გათვალისწინებული. |
| მტკიცებულებ(ები)ა | |

**თანდართული დოკუმენტაცია[32]**

***ექსპერტის ხელმოწერა***

[30] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[31] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[32] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა